

### ჭუჭრუტანებიდან დანახული ჩირუხი

არავინ იცის, პირველად როდის გაუყვა ცხენზე შემომჯდარი მთიელი კაცი აჭარის ყველაზე მაღალი მთის, ჩირუხისკენ მიმავალ გზას და ზემთაშიც გაიდგა ფესვი... ამჟამად დიდგოროზ მთებში ჩახლართულ აღმართს თითქოს მზისკენ მიჰყავხარ, გზა არ იღევა... ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრზე, ანუ ნისლებ აღენილ მთის წვერზე, ულამაზეს ჩირუხში ყოველ ზაფხულს ცხოვრება ჩაღდება. ამ დროს მთიელებს დრო უჩერდებათ – ქრება პოლიტიკის თუ ცივილიზაციის ვნებები, ფერდობებზე ფიანდაზებად დაგებულ მწვანე მოლზე ჩირუხელები საქონელს აძოვებენ, შემოდგომის თოვლის მოსვლამდე დოვლათს იმარაგებენ და ძალიან, ძალიან ბევრი დრო რჩებათ – ცხოვრების ამოსახსნელად!

როცა ჩირუხის კალთებზე შეფენილ ილაღებს გახედავ, ბუნების უზადო მრავალფეროვნებაში ჩაკარგულ ერთფეროვნებას იგრძნობთ: ყველა სახლი ერთმანეთს გავს, ყველა სარკმელი თითქმის მუშტისოდენაა, თან ყველა დახურული, არც ერთ სახლში არაა ტელევიზორი და ყველას ერთნაირად ჩამოღამებია სახეზე სევდა... ფანჯრებს მიღმა ჩირუხელთა ინტერესით სავსე თვალებსაც შეამჩნევთ – უცხო ადამიანის გამოჩენა აქ ჯერ კიდევ უცხო მოვლენაა. აქაურმა მემთეურებმა იციან, რომ საუკეთესო ადგილას ატარებენ ზაფხულს, მაგრამ ტურისტის კომფორტულად მიღება მათთვის შეუძლებელია. არნახული ბიომრავალფეროვნებითა და გამორჩეული კლიმატით დაჯილდოვებული ჩირუხი საკურორტო ადგილადაა მიჩნეული. მეცნიერთა აზრით, აქაური გარემო უიშვიათესია და მას მეცნიერულ დონეზე დაცვაც სჭირდება, თუმცა აქაურობას ტურისტის მხოლოდ მთის კაცის ცხოვრების გასაგებად და მის სულში ჩასაძვრომად თუ ესტუმრება. აქ იმ იაილაში (საცხოვრებელი სახლი) მოგიწევთ ცხოვრება, რომლის პირველ სართულზე ბოსელია მოწყობილი, მეორე სართულზე ჩაძინებულს კი, რძის სუნი გამოგაღვიძებთ, გაიგებთ აჭარული კერძების მომზადების ხელოვნებას, გემოს...

ასეთია ეგზოტიკა მთაში!

...ადრიან დილას ხოჯის ხმამაღალი ლოცვა მაღვიძებს. ჩემი მასპინძელი, ზილფო ბებიაც ცხვრის ტყავს სასწრაფოდ იატაკზე აფენს და ალაჰისადმი ლოცვას ადავლენს. დილის ლოცვის შემდეგ იაილაში რძის სუნი დგება... რძის შხეფების ხმაური ისე ისმის, თითქოს შხაპუნა წვიმამ მიწიდან ამოხეთქაო. მაღე ჩირუხის მწვანე კალთებს ნახირი მოსავს... ასე ჩირუხის ყოველი დილა იწყებს სიცოცხლეს. დღის განმავლობაში მემთეურები (ასე ეძახიან ილაღებზე მყოფ ქალბატონებს) რძისგან სხვადასხვა პროდუქტს ამზადებენ, ბოსელს აწესრიგებენ და საღამოს ისევ საქონლის ჩამოწველით ირთობენ თავს...

მემთეური ქალბატონების საფიქრალს მინდა ჩავწვდე, მაგრამ ისინი ჩაბუდრული სახეებიდან სიყვარულით მიმზერენ და ჯიუტად დუმდებიან... რძეში ჩაშვებულ მათ ხელებს თუკი თვალს ჩააყოლებ, ბოსელში ძროხას მათთან ერთად მოინახულებ და მათ საფიქრალს გონებით გაუყვები, მემთეურებიც გაგინაწილებენ სათქმელს, გემრიელ ლუკმასთან ერთად...

**„პოლიტიკა რა ჩვენი საქმეა, ჩვენ „განდაგანა“ გვაცეკვეთ“**

– გადმიდე, აბა, სურათი! – როგორც იქნა, ხმა ამოიღო ზილფო ბებია, ორივე ხელში რძით სავსე ვედროები რომ უჭირავს და მიღიმის... ბებია რძიან ქვაბს შემის ღუმელზე დგამს, ჩამობანილ, შრომით დაღლილ ხელებს გამთბარ რძეში ურევს და ყველის თმის

ნაწინავისებურად გამოძერწვას ცდილობს. ვთხოვ, ახალგაზრდობა მოიგონოს. ბებიას სახე ბავშვურად უნათდება, იღიმება:

– მთამ ადამიანური სილამაზე მასწავლა... ამფრათ დაყუდებული მთები თავმდაბლობასა და მოკრძალებას გაჩვენებს. ისლამიც ამას გვიქადაგებს. მართალია, ჩვენი უძველესი რელიგია ქრისტიანობაა, მაგრამ მუსლიმანად დევბადე და მუსლიმანად მოვკტები. ხან ერთ რელიგიას ემსახურო, ხან მეორეს, ღმერთი სათამაშო ხომ არაა? ერთგულება უნდა შეგეძლოს... – ბებიას ხელზე იხვევს ყველს, თვალს ვერ გააყოლებს, ისე სწრაფად წელავს და რამდენიმე წუთის შემდეგ, სიყვარულის სკივრშიც მახედებს, – რვა წელია, აღარ მყავს ქმარი... საფლავშიც მიყვარს. თუ ჭკვა გაქ თავში, რა გაგაბეჩებს?... ჩვენს დროს პაემნები არ იყო. როცა ჩემი მომავალი მეუღლე ოჯახში გვეწვია, მითხრეს, წყალი ამეიტანეო. ეზოში ჩამომჯდარ საქმროს წამით შევაველე თვალი, თავი დახრილი ჰქონდა, ვერ დევნახე. სახლში ატანილი წყალი გადავაქციე და ხელახლა წვევდი წყაროზე...

ზილფო ბებიას ცრემლიან თვალზე ღიმი ადგება, „დაპწილ ყველს“ დიდ თასზე ათავსებს და აჭარულ სამზარეულოს მაცნობს: ერიშტა, ხავიწი, ყაისაფა, გევრეგი, ბიშები... – თითოეული აჭარული კერძის მენიუში შედის რძის რომელიმე ნაწარმიო, – მიყვება, მერე იაილიდან მიიპარება და ცოტა ხანში მეზობლის ქალებთან ერთად ბრუნდება, – ავინი მოგიყვებიან აწი ყოლიფერსო...

თავდაპირველად სექვზე ჩამომჯდარმა ნაზიმე ვაშაყმაძემ გაიხსენა ახალგაზრდობა:

– ჩვენ დროს ჩეთინი გათხვება იყო. რაფერც იქნა, 15 წლისამ ძლივს გვევთხვე. წინათ ბაღებშიც (ბავშვები – ავტ.) ბევრინდა გვეჩინა. ახლანდელი ქალები ორ შვილზე მეტს არ აჩენენ, მე მაგაზე ხელ არ ვაწერ. ისე, უნარიც აღარ აქვენ, ალბათ. რაფერ გითხრათ და, ახლანდელი გოგები „ნი დაი ბოგ“! ამასწინ „მარშუტკაში“ ძლივს ამოვდა გოგომ, – რეიზა და საცოდვავი კაბა ეცვა. ეწიკა, ეწიკა (დაეკიდა – ავტ.) კაბას, მარა, ეიდა, თავიდან რომ მოკლეს შეიკერავ, მერე დაგქედდება, თუ?...

– **პოლიტიკური ცხოვრების შესახებაც მიამბუთ რამე...**

ჟუჟუნა ბაკურიძე: – პოლიტიკა რა ჩვენი საქმეა? ჩვენ „განდაგანა“ გვაცეკვეთ... ასლან აბაშიძემ ისე მოცოცხა ქვეყნიდან, ვერ მიხტა, რა ჯანდაბა იყო პოლიტიკა და ჩვენ რა უნდა გუუგოთ?

ნაზიმე ვაშაყმაძე: – სააკაშვილი ძალიან მიყვარს. მაგან მოგვიყვანა ჩირუხში გზა, წყალი და სინათლეც. მეტი რამე არ ვიცი პოლიტიკის შესახებ. ოპოზიცია კი ვიცი, რომ არსებობს, მარა ტყულაი ესხრიკება (ეჩრება) მთავრობას... ავზე (აქ) ნერვებს ვინმე არ გვიშლის – გვიყვარს სააკაშვილი, მას ვემორჩილებით და ცხოვრებაც მირბის წიწინით (კარგად. – ავტ.)...

კრება სრულდება. სხვა მსგავს „კრებებზეც“ ვარკვევთ, რომ მემთეურთა უმრავლესობა, ქალბატონ ნაზიმესავით, სააკაშვილის პოლიტიკის დიდი გულშემატკივარია. წლების წინათ აქ ასლან აბაშიძეც ასეთივე ძალით უყვარდათ...

„**მშიერ შვილიშვილს რაფერ ჩახხედო თვალეში?**“

ავთანდილ ფუტკარაძე სევდით გაჰყურებს ქალაქისკენ მიმავალ ახალგაზრდებს:

– ჩვენს შრომას არავინ აფასებს. აღარც თამბაქოს ქარხანაა, არც – რძისა. ჩემი სოფელი ბათუმს 100 კმ-თაა დაცილებული. ყველი ამხელა გზაზე თუ ვატარე, რა ფასად გაგყიდო? ქალაქში კიდევ ფხვნილებით სავსე რძესა და არაჟანს აჭმევენ ხალხს... ბოლო დროს, ფუტკრის მოშენება გადავწყვიტეთ გლეხებმა. იცით, რა მოგვიხერხა მთავრობამ? – ფუტკრის ისეთი შესაწამლავი საშუალება დაგვიდვა დახლებზე, რომ თაფლის გარეშე დავრჩით, დაწყდნენ ფუტკრები. რამდენიმე სკა ძლივს გადავარჩინე და ამჯერად, ალბათ, მამაპაპურად, თამბაქოთი შევწამლავე. ალბათ, რომელიმე ქვეყნის თაფლი იყო გასასადლებელი... აიცრუეს ახალგაზრდებმაც სოფელზე გული. საცოდობა არაა, ამ

მიკარგულ სოფლებში, ძროხა რომ არ ეყოლება ოჯახს? საქონლის მოვლას კაცი უნდა, კაცები კიდევ საკონტრაქტო სამხედრო სამსახურებისკენ გარბიან, რომ მერე რამენაირად ქალაქში გადაბარგდნენ... ჩემს შვილებსაც ქალაქი უნდათ, სხვას რას ვერჩი. ძალიან კი გამიჭირდება აქაურობის მიტოვება, მარა – ძია ავთო ცრემლიანი თვალით გაჰყურებს დიდებულ მწვერვალებს, ვატყობ, გულიც რომ აუჩქარდა, – მშიერ შვილიშვილებს რაფერ ჩავხედო თვალებში? რა ვუთხრა, მიწა ჭამეთ-მეთქი?... ბუნებას დავშორდით ადამიანები და იმიზა გვაშინებს ასე ძალიან ცხოვრება. წყალი მოიყვანეს ჩირუხში, მაგრამ ძველ, პატარა მიწებში გაუშვეს და შეხედეთ, რაფერ იშლებიან კლდეები...

ამას წინათ ტყეში დათვს გადაგვეყარე. მას ბელები ახლდა, მე – პატარა ბავშვი. დათვი ბევრჯერ შემხვედრია, მარა ამჯერად იარაღი მოშორებით მელო და ძალიან შეეშინდი. ჩემს დასაფლეთათ დაალო პირი დათვმა და ისე საზარლად ვიკივლე, რომ დათვმა თავი ჩაღუნა და გაბუნცულდა... ბელები ხეზე დარჩნენ. არეულ გონებაზე ბელები გამოვასალმე სიცოცხლეს... რამდენიმე ღამე არ მძინებია, რა ვქენი ეს?! დათვმა სიცოცხლე მაჩუქა, მე კიდევ...

### **„სიყვარული აფრენილი ორბია...“**

შუადღისას მემთეურები ზოგჯერ ერთად იკრიბებიან, მატყვლს ართავენ, ჭორ-მართალს განიხილავენ. ხანდახან სიყვარულსაც იხსენებენ...

– „სიყვარული აფრენილი ორბია, თუ დაგეცა ატომური ბომბია“ – ასე ამიხსნა სიყვარული ჩემმა მეუღლემ, – იცინის ჯუმშიძე ფადიმე, – ჩვენს დროს ბიჭი გოგოს ვერ დიელაპარიკებოდა, წერილებს ვწერდით ერთმანეთს. დავწერდით ქალაღდის ნაფლეთზე, – მიყვარხარო, „კალოში“ დავმაღვიდით, მერე ის წერილი მეგობრის „კალოში“ გადაინაცვლებდა და ბოლოს სიყვარულამდეც მიაღწევდა...

– მე, განა, ტყეში ვხდებოდი ჩემს სიყვარულს, – მაყვალა ვაშაყმაძეც თამამად ხსნის წარსულის სკივრს ფარდას, – მე ჭადრის ხეზე ვედოდი, ჩემი საქმრო – ნაძვზე და ვუყურებდით ასე, გუგულებივით ერთმანეთს.

ქალბატონები ხალისით ხვდებიან „კახურას“ გამოჩენასაც. „კახურა“ კახელი ქალბატონი – ღია ბექიძეა. ის აჭარელმა ბიჭმა მაღალმთიან აჭარაში ამოიტყუა სიყვარულით:

– თავიდან ძალიან მიჭირდა აქაურ კანონებთან შეგუება, – ყვება „კახურა“, – მერე მივხვდი, სხვანაირი სითბო რომ ენთოთ გულებში... აქ ცხოვრების სრული იდილიაა: ყველას მოსწონს მთავრობა, ყველა ძროხას წველის და ყველა მაძღარია. ერთი ტელევიზორია მთელ ჩირუხში. მაყურებელი მხოლოდ სერიალს ჰყავს, რეკლამის ყურება ურჩევნიათ, პოლიტიკური სიახლეების გაცნობას, არადა, პრობლემა მართლაც ბევრია – რახანია მგელი და ტურა არ ასვენებს სოფელს. რა მოხდება, ჩირუხსაც მოაქციონ ყურადღება და ტურისტმაც ისიამოვნოს ამ ულამაზესი მიწა-წყლით? ისე, თქვენ პირველი ჟურნალისტი ხართ, ვინც ჩირუხის ცხოვრებით დაინტერესდა!

ქალბატონებს ვემშვიდობები და მუშტისოდენა სარკმლებიან იაილებს ვაკვირდები. სახლების წინ ანკარა წყარო ხის საწნახელებში მოჩუხჩუხებს... ეს ის საწნახელებია, ქრისტიანული წარსულიდან რომ შემორჩა ჩირუხს... სარკმლიდან 90 წლის მეებულე ფუტკარაძის თავი მოსჩანს, სათქმელი ჰქონია მასაც:

– რატომ გვაქვს ამფერი პატარა სარკმლები? – ჭუჭრუტანებია, მარა აქიდან მთელი სამყარო მოჩანს... ცას გამომბული მთები ჩანს, მათში ადუღებული ნისლები და კაი კაცის ნაკეთები იაილები, მეტი რანდა დევნახო? რაც მეტს დეინახავ, მეტად გიგიჭირდება ცხოვრება... ამ ჭუჭრუტანებს თავისი ისტორიაც აქვთ – მათ მარტოდ დარჩენილი ქალები მტრისგან უნდა დიეცვათ, – ჭიჭრიტანაში კაცი ვერ შემიეტეოდა და გაუპატიურებაც არ მოხდებოდა.

**„წამოდი, მზეზე წიგნიყვან! . . .“**

– ასე ჩირუხელები „ჰაჯეთ ნამაზის“ (ანუ ლოცვების სამჭედლო. – ავტ.) მწვერვალზე სალოცავად დაგპატიუებენ. მუსლიმან ჩირუხელებს სჯერათ, რომ მთის მართლაც უმაღლეს მწვერვალზე წამომდგარი „ქვის კაცები“ ყველა ოცნებას ასრულებენ... ჩვეულებრივი კლდის ქვებისგან შექმნილი „ქვის კაცების“ წარმომავლობა არავინ იცის. ამბობენ, რომ ის წარმართული ღვთაებაა. მუსლიმანური რელიგიის წინამძღოლებს ეს ამბავი, თურმე, არ მოსწონთ, მაგრამ ხალხს „კანონი“ მაინც ვერ მოუშალეს... თუკი მზისკენ თავდაკიდულ ბილიკებს მართლაც აივლით, ოცნებების შესრულების არ ვიცი, მაგრამ „ჰაჯეთ ნამაზზე“ თქვენზე მაღალი, ღმერთისა და მზის გარდა, მართლაც არავინ იქნება. ულამაზეს მწვერვალებს ზემოდან დაყურებ და მეგზურის, ნათელა ფუტკარაძის ხმა ჩამესმის: – დაბლიდან აქ ამოტანილი ქვა „ქვის კაცებს“ დუუტით, ოცნება ჩეიფიქრეთ და გეექცეთ, თორემ ნისლები მოდიან და დაგკარგავენ, თან მგელები დეგვესხრიკებიანო (გამოგვეკიდებიან. – ავტ.).

„ჰაჯეთ ნამაზიდან“ სილამაზით დაღლილები ვბრუნდებით უკან. გზად მთებს შორის მოქცეულ – გასაღიანის ტბასთან ვჩერდებით. ტბის პირას ჯდება ნათელა ბებიაც და ქალაქიდან ამოსულ შვილიშვილებს, პატარა ბიჭებს ამხნევენ: – თეატრში მე არ დავდივარ და აგზე მაჩვენეთ „განდაგანა“, ტბის პირასო... ცეკვა ჩაღდება, ნათელას ჩუმი ხმა ჩამესმის: – მაღე ისევ ქალაქისკენ გიმიფრინდებიან ჩემი ბიჭები, აწი სულ აქით წამოვაბალახებ საქონელს, გადმოვხედავ აქაურობას და ვიტირებ...

სადამოს ჩირუხში თავმოყრილი პატარები დაგვხდვდნენ, ისინი რიტუალს – „ლაზარია“ ატარებდნენ. „მოადგა კარს ლაზარია, დაემსგავსა მთვარესა, ღმერთო, მოგვე მზე და მთვარე...“ – პატარებმა ზეპირად იციან მზის გამოჩენის სათხოვარი, სამაგიეროდ, დიდებმაც კი არ იცინ – ვინ იყო ლაზარე!...

პატარების გაცნობას ვცდილობ. თავდაპირველად ყველა სახეს მაღავს, მოგვიანებით თითოეული მათგანი ლექსით ან სიმღერით იწონებს თავს, თუმცა მათ ცხოვრებაში ტრადიციად ქცეულ კოცონთან გასართობი სანახაობა ჯერ არ შობილა... სახელდახელო პროგრამას ვადგენთ, შუამთობისთვის გურიიდან ჩირუხში ამოსულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს, „გიგანტსაც“ ვპატიუებთ და მომდევნო დღეს – ვინ მოხუცის ფორმით გამოდის კონცერტზე, ვინ კიდევ – მთის სიმღერას მღერის და სიხარული უღდება თვალებში.

იმ დღეს ჩირუხის ღელის პირას ერთი პატარა ბიჭიც მღეროდა თავისთვის: პატარა გოგო დამეკარგა, წითელპერანგაო...

**შუამთობა!**

ტრადიციული შუამთობა ჩირუხში წელსაც აგვისტოს პირველ შაბათს გაიმართა. ამ დროს მთას ადამიანთა ხმაური აყრუებს, სოფლი ბოლოს (ასე ეძახიან ჩირუხში შუამთობის ადგილს) საგანგებო სცენა იმართება და, რა თქმა უნდა, პოლიტიკოსებსაც ელიან. ჩირუხელები წელსაც ამაოდ ელოდნენ პრეზიდენტს. სამაგიეროდ, ადგილობრივი ჩინოვნიკები სიტყვით დაუდგნენ მთას გვერდით: – ჩვენი ფარი და მახვილი ხართ, მთიელებო, – ბრძანა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა... პოლიტიკოსები, ალბათ, კიდევ ბევრ რამეს იტყოდნენ, მაგრამ ისეთი ნისლი ჩამოწვა შუა დღესასწაულზე, რომ სცენაც აღარ ჩანდა. რაც მთავარია, ქართული ხალხური ხელოვნების ხილვით მთიელებმა კიდევ ერთხელ გაითბეს გული, აი, სარძლო-სასიძოს დანახვება კი, ნამდვილად შეუძლებელი შეიქმნა...

„შეუძლებელია ასეთ სილამაზეში არ განვითარდეს ტურიზმი. აქ სიღარიბე ნამდვილად აღარ უნდა იყოს“ – აღნიშნავდა ამ დროს ჩირუხის დაბლა კალთებზე შეფენილ კურორტ ბეჭეჭში სტუმრად ამოსული საქართველოს პრეზიდენტი.

...და როცა ჩირუხს ესტუმრებით, როცა დილით რძის შხაპუნის ხმა გამოგაღვიძებთ, სურნელი დაგათრობთ, როცა მუშტისოდენა ჭუჭრუტანებიდან სამყაროს გახედავ მემთეურივით, როცა წინაპრის სისხლით განბანილ საწნახელებთან მთის ცივი წყაროთი გაიგრილებ გონებას, ზილფო ბებია უცებ დამალავს სახეზე სევდას, ისევ ბავშვურად გაიღიმებს და გეტყვის: – აქაურობას სიცოცხლეს ვერასდროს მოუშლიან!

ჯაბა ანანიძე